ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N42

16.08.2024 წელი **ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2**
14:00 საათი **ოთახი 3-01**

მიმდინარე წლის 16 აგვისტოს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032422850-03, 15.08.2024წ.).* **მომხსენებელი - ირაკლი გვილავა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამის სპორტი უფროსი თაობისთვის დადგენილების პროექტში შემავალი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, როგორც მოგეხსენებათ ქვეპროგრამა ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" უკვე მეორე წელია აქტიურად ფუნქციონირებს, რადგან ახალი პროგრამაა იყო დაკვირვების პროცესში. ვინაიდან სოციალური პროექტია, არ გახლავთ სპორტული ცენტრებისთვის კომერციული და მომგებიანი პროგრამა, იმდენად დაბალი თანხა იყო ერთი ვიზიტის საფასური, რომ უკვე შეუძლებელი იყო მომსახურების გაწევა აღნიშნული ტარიფით, 4 (ოთხი) ლარი გახლდათ ერთი ვიზიტის საფასური. საქალაქო სამსახურს ჰქონდა კომუნიკაცია კერძო და მუნიციპალურ სპორტულ ცენტრებთან, შევთანხმდით, რომ ტარიფი ეტაპობრივად გაიზრდება და მოცემული მომენტისთვის 6 (ექვს) ლარამდე გვსურს ერთი ვიზიტის საფასურის გაზრდა, რადგან გაზრდილია კომუნალური, თუ მომსახურე პერსონალის ხარჯები, აქედან გამომდინარე ორი წლის წინ დადგენილი ტარიფი ძალიან დაბალია არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. გვესმის, რომ 6(ექვსი) ლარი საკმარისი არაა, მაგრამ ეს გახლავთ ის თანხა, რაც წელს ბიუჯეტის ეკონომიის გათვალისწინებით გამოვყავით. საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება სექტემბრის თვიდან შევა ძალაში.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ვლადიმერ ბოჟაძე - აღნიშნული საფასურის ექვს ლარამდე გაზრდა კერძო და მუნიციპალური სპორტული ცენტრებისთვის რამდენად მისაღებია?

გივი ჩხარტიშვილი - ცენტრების პოზიციის და მათი ხარჯის გათვალისწინებით შევთანხმდით, რომ ვიზიტის საფასური ეტაპობრივად გაიზრდება, კერძო სექტორის პოზიციაა, რომ თანხა მინიმუმ ათ ლარამდე გაიზარდოს, მაგრამ ჩვენი მიდგომაა, რომ ეტაპობრივად ეკონომიების ხარჯზე მოხდეს თანხის მომატება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის" (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე